პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 159 (4669)

1972 წ. 15 აგვისტო, სამშაბათი.

ფასი 6 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## მატჩი მსოფლიო პირველობაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მეორე ეტაპი რეკორდებით დაიწყო

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის მოცურავეთა ჩემპიონატის პირველ ეტაპზე (თბილისი) საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, მასპინძელმა ი. ლისეცკიმ („დინამო") 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ვერცხლის მედალი მოიპოვა, სპრინტერულ დისტანციებზე გამარჯვებულები კი მოსკოვის სტარტებს (მეორე ეტაპი) უნდა დაესახელებინა.

და აი, კვირას ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის აუზში დაიწყო წინასაოლიმპიადო გადამწყვეტი ბრძოლა, რომელიც დღეს მთავრდება. ფინალების პირველ დღეს რეკორდები დამყარდა. დილით 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ნახევარფინალურ გაცურვაში მოსკოველმა ი. გრივენიკოვმა საკავშირო რეკორდი დაამყარა — 52,8, რაც მისი თანაქალაქელის ვ. ბურეს ძველ მიღწევას 0,1 წამით სჯობს.

საღამოს მოეწყო ფინალები 200 მეტრზე თავისუფალი სტილით, ბრასითა და კომპლექსურ ცურვაში. მოსკოველმა ნ. პანკინმა ბრასით შეჯიბრებაში ევროპის რეკორდი დაამყარა — 2.24,2. ეს მისსავე საკავშირო მიღწევას 1,2 წამით, ხოლო ევროპის რეკორდს, რომელიც კ. კუსს (გფრ) ეკუთვნოდა, 0,4 წამით აღემატება. ამ სახეობაში II და III ადგილები დაიკავეს ლენინგრადელმა ვ. კოსინსკიმ (2.26,2) და კრივოიროგელმა ი. ჩერდაკოვმა (2.26,3).

თავისუფალი სტილით ასპარეზობაში დისტანცია კვლავ საკავშირო რეკორდით დაამთავრა გრივენიკოვმა — 1.56,1. ეს რიგელი გ. კულიკოვის ძველ მიღწევაზე 0,3 წამით უკეთესია. ვერცხლის მედალი ბურეს ხვდა — 1.57,0, ბრინჯაოსი — ასევე მოსკოველ ვ. მაზანოვს — 1.57,4.

კომპლექსურ ცურვაში მ. სუხარევის (ასტრახანი) ძველ საკავშირო რეკორდს (2.11,6) ორმა სპორტსმენმა გადააჭარბა. გამარჯვებულმა სუხარევმა 2.11,3 აჩვენა, ხოლო ვერცხლის პრიზიორმა ვ. პარტიკამ (დონეცკი) — 2.11,5. III ადგილზეა ხარკოველი ს. ჩოპოროვი — 2.14,8.

ქალთა შეჯიბრებაში ჯერჯერობით ქვეყნის მხოლოდ ერთი რეკორდი გაუმჯობესდა: 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ნოვოსიბირსკელი ტ. ზოლოტნიცკაიას შედეგია 2.11,3 (მასვე ეკუთვნოდა ძველი მიღწევა — 2.11,8). გამარჯვებულს 1,5 წამით ჩამორჩა ე. ტიმოშენკო და 1,8 წამით — ნ. მატიუხინა (ორივე — მოსკოვი).

ქალებში სხვა დისტანციებზე პრიზიორები გახდნენ: 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — ნ. პეტროვა (მოსკოვი) — 2.27,1, ბ. უჯკურაიტიტე (კაუნასი) — 2.29,6, ლ. მილენინა (ვოროშილოვგრადი) — 2.33,7; 200 მეტრზე ბრასით — გ. სტეპანოვა (მოსკოვი) — 2.43,3, ლ. პორუბაიკო (კრასნოდარი) — 2.44,2, ა. გრებენიკოვა (მოსკოვი) — 2.45,7.

* * *

სურათებზე: ი. ლისეცკი და გ. სტეპანოვა ასპარეზობის დროს.

თ. გელაშვილის ფოტოები.

## პირველი სტუმრები

13 აგვისტოს, პაპანაქება სიცხის შემდეგ პირველ გრილ დღეს, სტარტი აიღო ჩოგნის ოსტატთა ტრადიციულმა საერთაშორისო ტურნირმა ლუჟნიკში. თუმცა სტუმრების სია საკმაოდ სოლიდურია (შეჯიბრებაში 10 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობენ), პირველ დღეს მაყურებელმა ბევრი მათგანი როდი იხილა. საქმე ისაა, რომ უცხოელ სპორტსმენთა დიდი ნაწილი, აგრეთვე, საბჭოთა ჩოგბურთის ლიდერები ახლა ბუდაპეშტში ასპარეზობენ ევროპის ჩემპიონატში. ისინი ერთეულთა შეჯიბრებებში მხოლოდ 15 აგვისტოდან ჩაებმებიან პირდაპირ მერვედფინალიდან. ჯერჯერობით კი მთავარი ბრძოლა კორტის მასპინძლებს შორის გაჩაღდა.

უმეტესი შეხვედრების შედეგები შეესაბამებოდა რანგთა ტაბელს, თუმცა გამონაკლისიც იყო. მაგალითად, 19 წლის ტალინელმა ე. კომაროვამ მოუგო გამოცდილ კიეველ სპორტსმენს გ. ბაკშეევას — 6:4, 6:2. მართალია, ბაკშეევა ჯერ ტრავმისგან განკურნებული არ არის.

ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთმა უძლიერესმა ჩოგბურთელმა მ. ხოლუბოვამ დაამარცხა 18 წლის ალმაათელი ა. ფილინოვა — 6:4, 4:6, 6:2. ესტონელმა პ. ლამპმა მოუგო ი. შინბერს (ჩეხოსლოვაკია) — 6:2, 7:5.

ტურნირი 20 აგვისტოს დამთავრდება.

◆ **იოენსუ, 14 აგვისტო.** აქ გაიმართა ფინეთის მძლეოსანთა წინაოლიმპიური შეჯიბრება, რომელსაც მიუნხენის საგზურების კანდიდატები უნდა დაესახელებინა. ამინდმა უღალატა მოასპარეზეებს — სამივე დღის განმავლობაში სტადიონზე ჰქროდა ძლიერი ქარი, რომლის სისწრაფე წამში 5-6 მეტრს აღწევდა. ამ არახელსაყრელ პირობებში მხოლოდ ა. კალიომიაკიმ შეძლო ეროვნული რეკორდის დამყარება — ჰოკით ხტომაში 541 სმ აჩვენა. აღსანიშნავი არიან, აგრეთვე, რ. ვალენი, რომელმაც 100 მ 10,1 წამში გაირბინა, და პ. ვასალი (800 მ — 1.47,0). შუბის ტყორცნაში გაიმარჯვა ჰ. სიიტონენმა — 87,66 მ. მსოფლიოს ექსრეკორდსმენი ი. კინუნენი მას 4 მეტრით ჩამორჩა. ევროპის ორგზის ჩემპიონმა ი. ვიაიატიაინენმა მოიგო 5000 მეტრზე რბენა (14.03,0), მაგრამ მუხლის დაშავების გამო წლეულს ამ თავის პირველ სტარტში ოლიმპიური ნორმატივი ვერ შეასრულა. ამ ზღუდეს იგი შეუტევს სტოკჰოლმში, სადაც ამ დღეებში საერთაშორისო შეჯიბრება უნდა გაიმართოს.

## მეთოთხმეტე პარტია არ შედგა

13 აგვისტოს რეიკიავიკში უნდა გამართულიყო სპასკი — ფიშერის მატჩის მეთოთხმეტე პარტია, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონის სპასკის ავადმყოფობის გამო პარტია არ შედგა. ეს პარტია უნდა გათამაშდეს დღეს, 15 აგვისტოს. თეთრებით ფიშერი ითამაშებს.

ჯერჯერობით ანგარიშია 8:5 ამერიკელი მოჭადრაკის, დიდოსტატ ფიშერის სასარგებლოდ.

## უნგრეთის დედაქალაქის კორტებზე

**ბუდაპეშტი, 12 აგვისტო.** აქ გრძელდება ევროპის IV ჩემპიონატი ჩოგბურთში. მოსკოველმა ო. მოროზოვამ დაამარცხა ბულგარელი ი. ბერბერიანი — 6:1, 5:4, ალმაათელმა მ. კროშინამ — ე. მინკენსი (გფრ) — 6:1, 6:3, ბაქოელმა ე. ბირიუკოვამ — მ. ბრომარი (საფრანგეთი) — 6:2, 6:2, მ. კაჟელუხოვამ (ჩეხოსლოვაკია) — რიგელი ზ. იანსონე — 6:1, 3:6, 6:2. გამარჯვებულები მეოთხედფინალში გავიდნენ.

ქალთა წყვილების ნახევარფინალში გავიდნენ მოროზოვა და იანსონე, რომლებმაც სძლიეს პოლონეთის წარმომადგენლებს ვეჩორეკსა და კრალს — 6:1, 6:4, აგრეთვე, ბირიუკოვა და კროშინა, რომლებმაც დაამარცხეს ვ. კოხი (გდრ) და რ. ვიდო (იტალია) — 6:1, 6:1.

თბილისელმა ა. მეტრეველმა მოუგო იტალიელ ქ. ბორეას — 6:1, 6:3, შევჩიკმა (ჩეხოსლოვაკია) — თბილისელ თ. კაკულიას — 6:2, 8:6, ვ. ფიბაკმა (პოლონეთი) — ბაქოელ ს. ლიხაჩოვს — 2:6, 10:8, 6:0.

მეოთხედფინალში გავიდნენ მეტრეველ — ლიხაჩოვისა და კაკულია — კოროტკოვის წყვილები, აგრეთვე, შერეული საბჭოთა დუეტები.

ნახევარფინალში მოროზოვამ და იანსონემ სძლიეს უნგრელებს ჟ. საბოსა და ე. ზელს — 6:0, 6:3, ხოლო კროშინამ და ბირიუკოვამ — ასევე უნგრელებს ქ. ბორკასა და ვ. სერენიის — 6:0, 6:2.

◆ **ბუდაპეშტი, 14 აგვისტო.** მოულოდნელი შედეგით დამთავრდა ევროპის ჩემპიონატში მოასპარეზე ქალთა ერთეულების თანრიგის ფინალური შეხვედრა: 18 წლის ალმაათელმა ჩოგბურთელმა კროშინამ დაამარცხა კონტინენტის შარშანდელი ჩემპიონი, მოსკოველი მოროზოვა — 1:6, 6:2, 6:2. ბრინჯაოს მედლისთვის ორთაბრძოლაში ბაქოელმა ბირიუკოვამ ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელ კაჟელუხოვას სძლია — 1:6, 6:2, 7:5. ქალთა წყვილების ფინალში მოროზოვა — იანსონეს დუეტმა კროშინასა და ბირიუკოვას აჯობა — 6:1, 6:1. ვაჟთა წყვილების ფინალი დაღამებამ შეწყვიტა: კაკულია — კოროტკოვის დუეტთან ჭიდილში ჯერჯერობით წინ არიან მეტრეველი და ლიხაჩოვი — 6:4, 7:9, 6:3. ვაჟთა ერთეულების თანრიგის ნახევარფინალში მეტრეველს დიდი წინააღმდეგობა გაუწია უნგრელმა პ. სიოკემ, მაგრამ თბილისელმა გამარჯვებას მიაღწია — 3:6, 6:3, 6:2, 1:6, 6:0. ევროპის შარშანდელი აბსოლუტური ჩემპიონი მეტრეველი ფინალში უნგრელ ბ. ბარანიის შეხვდება. შერეული წყვილების ნახევარფინალში გავიდნენ მეტრეველი — მოროზოვა და ლიხაჩოვი — ბირიუკოვა.

## ფხაკაძე თუ ტრიფონოვი?

როგორც ცნობილია, 6 აგვისტოს ტალინში სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, თბილისელმა ო. ფხაკაძემ მეცხრედ მოიგო ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალი ტრეკზე სპრინტერულ რბოლაში. შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა სსრ კავშირის ნაკრები გუნდის მხოლოდ ერთი წევრი — „გდრ-ის დიდი პრიზის" წლევანდელ გათამაშებაში გამარჯვებული ვ. ტრიფონოვი, რომელიც ლიეპაიაში გამართული წინასწარი ტურნირის დროს დაშავდა.

მაინც, ვინ უნდა დაიცვას საბჭოთა კავშირის ღირსება ოლიმპიურ თამაშებში ველოსპორტის ამ სახეობაში, სადაც ყოველ ქვეყანას მხოლოდ ერთი მონაწილის გამოყვანა შეუძლია?

როგორც ამ საკითხის ირგვლივ საუბრის დროს სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ველოსპორტის განყოფილების უფროსმა ვ. შიმუკმა თქვა, ამჟამად შემდეგი მდგომარეობაა: გუნდის ერთი წევრი უკვე დასახელებულია. ესაა ს. კრავცოვი, სსრ კავშირის წლევანდელი და შარშანდელი ჩემპიონატების ნეოფიტი პრიზიორი. როგორც შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს, თუ წარმატებით გამოვა, მას უფლება აქვს მსოფლიო ჩემპიონს, ფრანგ დ. მორელონს ფინალამდე არ შეხვდეს (წყვილებს მსაჯთა კოლეგია ადგენს ბოლო მსოფლიო პირველობის შედეგების მიხედვით).

გუნდში მეორე ადგილის კანდიდატები ო. ფხაკაძე და ვ. ტრიფონოვი არიან. ველოსპორტის განყოფილების გადაწყვეტილებით, რაც სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობამაც მოიწონა, 18 აგვისტოს ტალინში „დიდი სამეულის" ოფიციალური შეჯიბრება მოეწყობა. იქ კრავცოვი, ფხაკაძე და ტრიფონოვი გამოვლენ. თითოეული მათგანი მეორეს ორ წრედ შეეჯიბრება. თუ ორ მრბოლელს შორის გამარჯვებათა რიცხვი თანაბარი იქნა, მოეწყობა დამატებითი სერია. ამასთან, გამარჯვებულთა ობიექტურად დასახელებისთვის, ისევე როგორც სსრ კავშირის ჩემპიონატში, შვეიცარიის ფირმა „ლონჟინის" ელექტროფინიშს გამოიყენებენ.

თუ ამ შეჯიბრების შედეგად ო. ფხაკაძე I ან II ადგილზე გავა, ოღონდ ისე, რომ ტრიფონოვი მესამე იყოს, მიუნხენში ქართველი ველოსიპედისტი და კრავცოვი გამოვლენ. მაგრამ, თუ ფხაკაძე მეორე აღმოჩნდა ტრიფონოვის შემდეგ, III ადგილზე კი ს. კრავცოვი გავიდა, ოლიმპიურ საგზურებს ტრიფონოვი და კრავცოვი მიიღებენ.

უფრო მარტივად რომ ითქვას, ფხაკაძემ ტრიფონოვთან პირად შეხვედრაში ორი სერია უნდა მოიგოს.

მაშ ასე, სპრინტერთა ორი ოლიმპიური მოწმობა ჯერჯერობით შეუვსებელია. საკითხი 21 აგვისტოს გადაწყდება, 24 აგვისტოს კი მრბოლელები მიუნხენს გაფრინდებიან.

იმედი ვიქონიოთ, რომ ფხაკაძე მოიპოვებს ოლიმპიურ თამაშებში მესამედ გამოსვლის უფლებას. მოგაგონებთ, რომ ტოკიოში მან IX-X ადგილები გაიყო, მეხიკოში კი მეოთხე იყო.

**მ. ზარამია,**

სსრ კავშირის ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი.





## მაღალი შედეგებით

ბუდაპეშტი, 14 აგვისტო. უნგრეთის მოზარდ მოცურავეთა ჩემპიონატში მოასპარეზე ამ ქვეყნის ოლიმპიელებმა რამდენიმე მაღალ შედეგს მიაღწიეს. ანდრეა დიარმატიმ ადა კოკის (ჰოლანდია) შვიდი წლის წინანდელი ევროპული რეკორდი გაიმეორა 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში — 1.04,5. ეს შედეგი ეროვნული რეკორდია.

უნგრეთის რეკორდი დაამყარა აგრეთვე იშტვან სენტირმაიმ, რომელმაც 100 მ ბატერფლაით 57,1 წამში გაცურა.

100 მეტრზე ბრასით ყველას აჯობა აგნეშ კაცანდერმა (1.16,1), ხოლო ამავე დისტანციაზე თავისუფალი სტილით ცურვაში — მაგდა პატოხმა (59,8).

## რეპორტაჟი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკიდან






# სწრაფად, უფრო სწრაფად

ახლახან თბილისში ჩატარდა საქართველოს პირველი ჩემპიონატი ცურვაში ბავშვებსა და ჭოზარდებს შორის. მონაწილეებში გამოირჩეოდნენ მზეზე გარუჯული ბავშვები — ნორჩი დინამოელები, რომელთაც თითქმის თვენახევარი სოხუმში, სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკში გაატარეს.

უკვე რამდენიმე წელია „დინამოს" რესპუბლიკური საბჭო შავი ზღვის სანაპიროზე საზაფხულო სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკებს აწყობს ნიჭიერი ნორჩი მოცურავეებისთვის. ბავშვები ასეთ ბანაკებში საერთო ფიზიკურ მომზადებას გადიან, დღეში ორჯერ ცურავენ აუზში, შინ გაჯანსაღებულნი, გაკაჟებულნი, გარუჯულნი ბრუნდებიან. რაც მთავარია, ბავშვების სპორტული მაჩვენებლები მაღლდება. ნორჩები სწავლობენ კოლექტივში ცხოვრებას, შრომას, მეგობრობას. აი, რატომ არის ხოლმე კონკურსი ასეთ ბანაკებში მოხვედრაზე. მაგალითად, წლეულს „დინამოს" ბავშვთა და მოზრდილთა ცურვის სპორტსკოლის ბანაკში ერთ ადგილზე სამი ბავშვი მოდიოდა. სოხუმში გაგზავნეს 60 ყველაზე ნიჭიერი, ყველაზე მონდომებული ბავშვი (7-14 წლისა). იქ ისინი სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდნენ. მათს განკარგულებაში იყო ვრცელი ეზო, სპორტული მოედანი, აუზი, ზოვა.

მწვრთნელთა ახალგაზრდულმა შემადგენლობამ (ბანაკის უფროსი — სპორტის ოსტატი კ. ჩოლარია, მწვრთნელები რ. არკადიევა, ი. ხათაძე, ჯ. მაჭარაშვილი, ს. მაჩიტაძე, ა. იოაკიმიდი) სწრაფად გამონახა ბავშვებთან საერთო ენა. გაჩაღდა მუშაობა. ხორჩებს თავიდან გაუჭირდათ, სწრაფად იღლებოდნენ, მაგრამ მალე ყველაფერი მოგვარდა. საინტერესო იყო მეცადინეობა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისთვის, და თვით ჩაბარებაც. ნორჩ სპორტსმენთა ნახევარზე მეტმა ნორმატივები ოქროს სამკერდე ნიშანზე ჩააბარა, დანარჩენებმა — ვერცხლის ნიშანზე.

შაბათობით აუზში შეჯიბრება ეწყობოდა. აქ მოწმდებოდა ერთი კვირის მანძილზე ჩატარებული მუშაობა. შედეგები კვირიდან კვირამდე იზრდებოდა. გია მერაბიშვილი, ლიანა კოროტკოვა, სერგეი შუშლებინი, მანანა დანელიშვილი და სხვები ბანაკში მეორეთანრიგოსნები გახდნენ, ტიგრან ვართაპეტიანმა კი პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა. უფროსების მეორე თანრიგს მიუახლოვდა 9 წლის ალექსანდრე ჩაჩიბაია. ბანაკის საუკეთესო სპორტსმენებმა საქართველოს ჩემპიონატში და „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს პირველობაში მონაწილეობის უფლება მიიღეს.

ბავშვების წარმატებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის მშობელთა კომიტეტს (ლ. სოვდაგრიშვილი, ლ. ვასილიევა, ლ. მამაცაშვილი, ქ. ქველიძე). მან იტვირთა ბავშვთა კვებისთვის და მხიარული დასვენებისთვის ზრუნვა. ბავშვები კარგად ერთობოდნენ — ისეირნეს კატერ-ლით ზღვაზე, იყვნენ აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში, ბოტანიკურ ბაღში და სხვაგან, ყვავილებით შეამკეს მამაცი კომკავშირელის ნადია კურჩენკოს ძეგლი.

15 აგვისტოს ბანაკი იხურება. ნორჩ მოცურავეებს ელით ახალი მეცადინეობები, ახალი სტარტები.

ზ. ჭვათაძე.

(ჩვენი სპეც. კორ.).

სოხუმი.





• • •

სურათებზე: ნორჩ მოცურავეებს ამეცადინებს სპორტის ოსტატი ა. იოაკიმიდი; სტარტის დამუშავება; 9 წლის ა. ჩაჩიბაია დისტანციაზე; დაფით ცურვა — წვრთნის აუცილებელი ნაწილი.

ავტორის ფოტოები.

# თასი პირველად მოიხვეჭეს

მოსკოვი, 13 აგვისტო. ცსკა-ს კალათბურთელ ვაჟთა გუნდი სსრ კავშირის თერთმეტგზის ჩემპიონია, მაგრამ საბჭოთა კავშირის თასი ამ შესანიშნავმა კოლექტივმა პირველად მოიგო, როცა დღეს დამატებით, მესამე მატჩში აქ ანგარიშით 98:76 (59:39) დაამარცხა კიევის „სტროიტელი". მანამდე, როგორც ცნობილია, არმიელებმა უკრაინის დედაქალაქში წაგების სიმწარე იწვნიეს, განმეორებით ფინალურ მატჩში კი, 12 აგვისტოს, რევანში აიღეს — 100.72.

ამ გუნდების მესამე შეხვედრაში კიეველები თავიდანვე იერიშზე გადავიდნენ და მე-4 წუთამდე ლიდერობდნენ — 11:10. მაგრამ შემდეგ ინიციატივას მტკიცედ დაეუფლნენ არმიელები, რომლებიც ძლიერ და, რაც ნოვარია, ნაყოფიერ შეტევებს ახორციელებდნენ. შემდგომში სტუმრებმა მხოლოდ ერთხელ მოახერხეს ქულით დაწინაურება.

ყველაზე შედეგიანი მოთამაშეები იყვნენ: მოსკოველთაგან — მილოსერდოვი (28 ქულა) და იასტრებოვი (19), კიეველთაგან — კოვალენკო (20) და პოლივოდა (13).

აი, არმიელი კალათბურთელები, რომლებმაც თასი მოიპოვეს: კულკოვი, მილოსერდოვი, იასტრებოვი, კაპრანოვი, ილიუკი, ფადიუხინი, კოვირკინი, ვიქტოროვი, პეტრაკოვი, კოვალენკო, ანდრეევი, ვ. გომელსკი.

გუნდის უფროსი მწვრთნელია ა. გომელსკი.

## 9 წუთზე უკეთეს დროში!

კვირას მოსკოვში, ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე, დამთავრდა რსფსრ-ს ღია ჩემპიონატი მძლეოსნობაში. სტარტებზე საბჭოთა ოლიმპიელებიც გამოვიდნენ და რამდენიმე სარეკორდო შედეგიც მოიპოვეს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კრასნოდარელი მასწავლებლის ლ. ბრაგინას წარმატება. 29 წლის ქალმა 3000 მეტრი მსოფლიოში პირველმა გაირბინა 9 წუთზე უკეთეს დროში. მისი მაჩვენებელი (8.53,0) 16,2 წამით სჯობს იტალიელი პაოლა პინიის მსოფლიო რეკორდს და 23 წამით აღემატება საკავშირო მიღწევას, რომელიც მოსკოველ ი. ბონდარჩუკს ეკუთვნოდა.

მოსკოველმა ნ. ბესფამილნაიამ 200 მეტრზე რბენაში 0,2 წამით გააუმჯობესა ბრიანსკელი ლ. სამოტიოსოვასა და ლვოველი ვ. პოპკოვას მიერ 1968 წელს დამყარებული საკავშირო რეკორდი. ბესფამილნაიას მაჩვენებელი (22,8) წლეულს ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში.

110 მეტრზე თარჯრბენში სსრ კავშირის რეკორდსმენმა, მინსკელმა ვ. მიასნიკოვმა ამ შეჯიბრებაში 200 მეტრზე თარჯრბენში სცადა ძალა. მან ორივეჯერ — ნახევარფინალშიც და ფინალშიც — გაიმეორა ქვეყნის რეკორდი (22,8), რომელიც 1964 წელს კიეველმა ვ. ანისიმოვმა დაამყარა (ასეთივე შედეგს ერთი წლის შემდეგ დნეპროპეტროვსკელმა ვ. სკომოროხოვმა მიაღწია). რაც შეეხება 110 მეტრზე თარჯრბენს, აქ გამარჯვება თბილისის დინამოელმა ა. მოშიაშვილმა დაისაკუთრა — 13,9.

უროს მტყორცნელებმაც მაღალი შედეგები მოიპოვეს. გამარჯვებული გ. ხმელევსკის (სტავროპოლი) ურო 74,02 მეტრზე დაეცა (რსფსრ-ს რეკორდი). II ადგილზე გასული, სსრ კავშირის რეკორდსმენი ი. გამსკი (ლვოვი) ხმელევსკის 18 სანტიმეტრით ჩამორჩა. III ადგილზეა 20 წლის ვ. დმიტრენკო (ოდესა) — 73,24.

იაროსლაველმა გ. ფილატოვამ ფოსბიურის ყაიდით 183 სმ სიმაღლე გადალახა. ბარნაულელმა ს. კოროლიოვამ შუბის ტყორცნაში რსფსრ-ს რეკორდით (60,64 მ) გაიმარჯვა.

## ამჯერად სოხუმში...

სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბი ყოველ წელს აწყობს საერთაშორისო ტურნირს, რომელშიც სათამაშოდ მსოფლიოს გამოჩენილ დიდოსტატებს იწვევს. ამჯერად ეს ტრადიციული, XIV ტურნირი 15 აგვისტოს დაიწყება სოხუმში.

ტურნირში მიწვეული არიან ცნობილი დიდოსტატები — მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ტალი (რიგა), სსრ კავშირის ჩემპიონი ვ. სავონი (ხარკოვი), მ. ტაიმანოვი (ლენინგრადი), რ. ხოლმოვი (მოსკოვი), ი. პლატონოვი (კიევი), ე. გუფელდი (თბილისი), რ. ჰიუბნერი (გფრ), დ. ჩირიჩი (იუგოსლავია), კ. ჰონფი (უნგრეთი), საერთაშორისო ოსტატები ლ. ესპიგი (გდრ), ვ. იანსა (ჩეხოსლოვაკია), ოსტატები — სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის ჩემპიონი ი. მურეი (მოსკოვი), ნ. კიროვი (ბულგარეთი), ა. ბელიავსკი (ლვოვი) და მ. მუხინი (ალმა-ათა).

## შეამოწმეთ თქვენი ამოხსნა

„ლელოს" 30 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული რ. თავარიანის (თბილისი) სამსვლიანი საჭადრაკო ამოცანა სწორად ამოხსნეს: ბ. გორელიშვილმა (სოფ. ქედელი, სიღნაღის რაიონი), ი. კანდელაკიშვილმა (სოფ. ძველი ანაგა, სიღნაღის რაიონი), ლ. ხუნწელიამ (წულუკიძე), რ. ჭალაგანიძემ (გეგეჭკორი), ა. ანდრიაშვილმა, ნ. ერემაძემ (ორივე — თბილისი), ვ. ნიშნიანიძემ (სოფ. ახალი თერჯოლა, თერჯოლის რაიონი), ჯ. ჩხეიძემ (სოფ. გორა, ვანის რაიონი), ო. ჯინჭარაძემ (მახარაძე), ჯ. ქართველიშვილმა (ქუთაისი), რ. გურულმა (ზესტაფონი).

ამოხსნა: 1. ეh4. 1. ... ე:g4 2. მ·a4; 1. ... კ:g4 2. მ:c4; 1. ... ეg5 2. მ:a4; 1. ... c5 2. g5+.

# ტრადიცია აღდგა

სპორტის არც ერთ სახეობაში არაა გამოხატული ჩვენი ერის ვაჟკაცური შემართება და რაინდული სული ისე სრულყოფილად, როგორც ქართულ ჭიდაობაში. იგი მსოფლიოში ამჟამად გავრცელებულ ჭიდაობის არც ერთ სახეობას არ ჩამოუვარდება, პირიქით, ბევრს სჯობს კიდეც სილამაზით, მიმზიდველობით. ქართული ჭიდაობის გომელმა მოტრფიალეებმა უ. გოგოლაძემ, ფ. ფარასტაშვილმა, ა. გიკაშვილმა, ვ. ჩოჩიშვილმა, შ. ნოზაძემ, ლ. ომიაძემ და ვ. გელაშვილმა ამას წინათ ხელი მოჰკიდეს სასახელო ტრადიციის აღდგენას. მათ თავი მოუყარეს ჭიდაობით გატაცებულ ახალგაზრდებს ა., მ. და ე. გიკაშვილებს, გ. ხეთაგურს, ი. მულაძეს, გ. გოგოლაძეს, თ. ჩოჩიშვილს, ა. კულიჯანოვს, თ. ელბაქიძესა და სხვებს.

რამდენიმე დღეში მოეწყო საჭიდაო მოედანი. ენთუზიასტებს მხარში ამოუდგნენ გომის სპირტის ქარხნის დირექტორი დ. დუგლაძე, ხე-ტყის სარეალიზაციო ბაზისა და სამშენებლო ბლოკის საამქროს გამგეები ვ. მარგველაშვილი, გ. სიხარულიძე...

გომსა და მეზობელ სოფლებში გაკრული აფიშები იუწყებოდა, რომ 22 ივლისს საზეიმოდ იხსნებოდა მოედანი... ვაყელი, ალელი, ფლეველი, ნაცარგორელი, ტკოცელი, წრომელი, სატიველი, ნაბახტეველი ჭიდაობის მოყვარულნი დიდი ხანია ელოდნენ ამ დღეს...

და აი, გაისმა ჭიდაობის ტრფიალის, ამ საქმის თაოსნის უშანგი გოგოლაძის ხმა:

— წინათ გომში დიდი პატივისცემით სარგებლობდა ქართული ჭიდაობა, სოფელში საუკეთესო ფალავნები იყვნენ არშაკ გიკაშვილი, ირაკლი ფხიკიძე, სამამულო ომში დაღუპულები ირაკლი მელაძე, ბეგლარ ოსაძე, აწ განსვენებულები ფანტია ნოზაძე, შალვა გიკაშვილი და ბევრი სხვა. სარბიელზე მათს გამოჩენას ტაშით ხვდებოდნენ. ყოველივე ეს თითქოს დავიწყებას იყო მიცემული. დღეს დიდი ზეიმი გვაქვს: აღდგა მამა-პაპათა ტრადიცია. ვეტერანები გამარჯვებას ვუსურვებთ ახალბედებს...

შემდეგ სიტყვით გამოვიდა „კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარე ს. ლომიძე.

... იწყება შერკინება.

— ჩემგან მარჯვნივ გომელი შევლუდ გიკაშვილია, მარცხნივ — ნაბახტეველი თემურ მჭედლიძე, — აცხადებს შუამავალი მსაჯი ა. გიკაშვილი.

ახმიანდა ზურნა, მას დოლი აჰყვა...

იმ დღეს ოთხჯერ იჭიდავა შევლუდმა, ოთხივეჯერ გაიმარჯვა.

— ჭიდაობენ გომელი გოჩა ხეთაგური და სატიველი ვალოდია ნოზაძე, — აცხადებს მსაჯი.

გოჩამ შუასარმით დაამარცხა მეტოქე. გომელმა ფალავანმა სამივე შეხვედრა მოიგო.

მაყურებელი კარგი ტექნიკით მოხიბლეს აბრამაშვილმა, მელაძემ (გომი), ვ. შუბითიძემ (ტკოცა), კვინიკაძემ (აბისი), ბუხრიკიძემ (ფლევი), ბაბასოვმა (ალი) და სხვ.

გამარჯვებულებსა და საჭიდაო მოედნის კეთილმოწყობის თაოსნებს გადაეცათ რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და საქართველოს ალკკ ხაშურის რაიკომის დიპლომები, ქების სიგელები.

— ყოველ შაბათს, საღამოს 6 საათზე გიწვევთ საჭიდაო მოედანზე, — გაისმა ჭიდაობის დასასრულს რადიოინფორმატორის ხმა.

ს. ხეთაგური,

ხაშურის რაიონული გაზეთის „გამარჯვების გზის" რედაქციის ლიტერატურული მუშაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ფეხბურთი

# თასი მოსკოვის „ტორპედოს" ხვდა

სსრ კავშირის თასის გათამაშებას ბევრი დაძაბული, საინტერესო ასპარეზობა ახსოვს და ამიერიდან მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე ღირსსახსოვარი იქნება წლევანდელი გათამაშების ფინალიც. ბროლის პრიზის მფლობელის გამოვლენას არ ეყო ორდღიანი დაძაბული ბრძოლა, 240 წუთი, და საჭირო შეიქნა პენალტების სერიის ჩატარება.

ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს მოსკოვის გუნდებმა „ტორპედომ" და „სპარტაკმა". ეს ორი მეტოქე არაერთხელ შეხვედრია ერთმანეთს თასის გათამაშებაში, კერძოდ, ფინალურ მატჩებში. ეს იყო მათი მეოთხე შეხვედრა გადამწყვეტ თამაშებში. 1947 წელს „სპარტაკმა" ფინალში ანგარიშით 2:0 დაამარცხა „ტორპედო", 1952 წელს ტორპედოელებმა შეძლეს რევანშის აღება — 1:0, მაგრამ 1958 წლის ფინალში გამარჯვება კვლავ სპარტაკელებს ხვდათ — 1:0.

საერთოდ, „სპარტაკი" 13-ჯერ გავიდა ფინალში და 9-ჯერ შეძლო საპატიო პრიზის მოპოვება, ტორპედოელებმა კი 9-ჯერ ითამაშეს ფინალში და 4-ჯერ მოიგეს პრიზი.

მოსკოველი მსაჯის ი. ლუკიანოვის სასტვენზე ძველი მეტოქეები 12 აგვისტოს გადამწყვეტი ბრძოლისთვის გამოვიდნენ მინდორზე. გაველო ორმა ტაიმმა, დაინიშნა დამატებითი 30-წუთიანი დრო, მაგრამ გამარჯვებული არ ჩანდა — 0:0.

უფრო ცოცხლად და დაძაბულად მიმდინარეობდა გადათამაშება 13 აგვისტოს. მატჩი ახალი დაწყებული იყო, როცა ნიკონოვის ზუსტმა დარტყმამ მიზანს მიაღწია, მაგრამ უკვე მე-10 წუთისთვის სპარტაკელმა პაპაევმა თანაფარდობა აღადგინა. ეს ანგარიში — 1:1 — არ შეცვლილა ძირითადი დროის დამთავრებისას და არც დამატებითმა 30 წუთმა შეიტანა ცვლილება შედეგში, თუმცა სახიფათო მომენტი მრავლად იყო ორივე კართან და როგორც ტორპედოელთა მეკარე ზანიკოვს, ისე სპარტაკელ დარვინს არაერთხელ მოუხდათ უძნელესი ბურთების აღება.

დაინიშნა 11-მეტრიანების სერია. პირველი დარტყმის უფლება მიიღო ტორპედოელმა ნიკონოვმა. დარტყმამ ზუსტად მიაღწია მიზანს — 1:0. შემდეგ პენალტი შეასრულა პაპაევმა და ძელს ზევით გაუშვა ბურთი. მერე ზუსტად იგივე გამეორდა: იურინმა გაიტანა გოლი, ხოლო ეგოროვიჩმა კვლავ გააწვილა „სპარტაკი" — ბურთი ასცდა კარს. ანგარიში ამ დროისთვის იყო 3:1 „ტორპედოს" სასარგებლოდ. III „ტურში" ორივე მხარემ შეძლო დარტყმის გამოყენება: კრასნოვმა ტორპედოელთაგან და ბულგაკოვმა სპარტაკელთაგან — 4:2. ამის შემდეგ ტორპედოელებმა სოლოვიოვმა და შალიმოვმა ორივე ბურთი ზუსტად გაგზავნეს მიზანში, ხოლო სპარტაკელთა ორი დარჩენილი პენალტი შესანიშნავი ნახტომებით მოიგერია ზანიკოვმა ოლშანსკისა და აბრამოვისგან.

ფინალის საბოლოო ანგარიშია 6:2 ავტოქარხნის გუნდის სასარგებლოდ, რომელმაც ჩაიბარა კიდეც საპატიო ნადავლი.

„ტორპედომ" განმეორებითი მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: ზანიკოვი, კრასნოვი, პახომოვი, ბუტურლაკინი, იურინი, შუსტიკოვი, ფეტისოვი (სოლოვიოვი), ნიკონოვი, შალიმოვი, დეგტიაროვი, სმირნოვი (ფილიპოვი), რომლებსაც გადაეცათ შესაბამისი ჯილდოები. საკავშირო სპორტკომიტეტის სპეციალური სიგელები მიიღეს ტორპედოელთა უფროსმა მწვრთნელმა ვ. მასლოვმა, გუნდის უფროსმა ვ. ივანოვმა და მწვრთნელმა ი. ზოლოტოვმა.



0 : 0,
1 : 1
და
6 : 2

# ტურნირი „მეგობრობა"

სოციალისტური ქვეყნების ჭაბუკ ფეხბურთელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი წლეულს მეექვსედ გაიმართა. შეჯიბრებას ამჯერად რუმინეთი მასპინძლობდა. ტურნირში 9 ქვეყნის გუნდები მონაწილეობდნენ.

სსრ კავშირის ნაკრებში, რომელსაც ამზადებდნენ ე. ლიადინი და ვ. ძოლუნინი, შეყვანილი იყვნენ სოხუმელი ი. მერულავა და ოჩამჩირელი გ. გოგოლაშვილი.

საბჭოთა ფეხბურთელებმა ჯგუფურ ტურნირში დაამარცხეს პოლონეთისა (1:0) და რუმინეთის (2:0) გუნდები, ფრედ (0:0) ითამაშეს ჩეხოსლოვაკიელებთან და დამარცხდნენ კუბელებთან — 0:1. მათ III ადგილი დაიკავეს.

სსრ კავშირის ნაკრები შემდგომში შეხვდა პარალელურ ჯგუფში ამრითვე III ადგილზე გასულ გდრ-ის გუნდს. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1, მაგრამ პენალტების სერიამ გამარჯვება გერმანელებს მოუტანა — 5:3. საბოლოოდ, საბჭოთა ფეხბურთელებმა VI ადგილი დაიკავეს.

I ადგილისთვის ბრძოლა რუმინეთისა და ბულგარეთის გუნდებმა გამართეს. გაიმარჯვეს რუმინელებმა — 1:0.

გაისად ტურნირი „მეგობრობა" სსრ კავშირში ჩატარდება.

## გაზეთი, გოლები

13 აგვისტოს შედგა მორიგი კალენდარული შეხვედრები.

ცსკა — „ყაირათი" 3:1.

არმიელებმა დიდი უპირატესობით ჩაატარეს მატჩი ალმაათელებთან. ხისამუტდინოვის, ზაბენკოსა და დოლგოვის სამ გოლს იონკინმა მხოლოდ ერთით უპასუხა.

„ლოკომოტივი"—ასკ 2:4.

ანგარიში გახსნა ლოკომოტიველმა ჩესნოკოვმა, მაგრამ რკინიგზელებმა ვერ შეძლეს გამარჯვების შენარჩუნება, ამასთან, ვაშჩენკოვმა ვერ გამოიყენა პენალტი. როსტოველთაგან 2-2 ბურთი გაიტანეს მასლიაევმა და ესკოვმა.

„ნეფთჩი" — „ზენიტი" 0:1.

გოლი, რომელმაც ლენინგრადელებს მოუტანა გამარჯვება, ბაქოელთა კარში ხრომჩენკოვმა გაიტანა.

## უმაღლესი ლიგა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 15 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზარია" | 19 | 11 | 5 | 3 | 32—15 | 27 |
| ცსკა | 20 | 11 | 3 | 6 | 25—21 | 25 |
| „არარატი" | 19 | 8 | 6 | 5 | 28—17 | 22 |
| „დინ." (თბ.) | 19 | 8 | 6 | 5 | 21—19 | 22 |
| „დინ." (კ.) | 19 | 7 | 7 | 5 | 30—24 | 21 |
| „დინ." (მ.) | 19 | 9 | 3 | 7 | 26—20 | 21 |
| „დინ." (მნ.) | 19 | 7 | 7 | 5 | 20—17 | 21 |
| „დნეპრი" | 19 | 6 | 9 | 4 | 24—22 | 21 |
| „ზენიტი" | 20 | 6 | 8 | 6 | 22—21 | 20 |
| ასკ | 20 | 6 | 6 | 8 | 23—26 | 18 |
| „ტორპედო" | 19 | 6 | 6 | 7 | 17—26 | 18 |
| „კარპატი" | 19 | 6 | 5 | 8 | 17—22 | 17 |
| „სპარტაკი" | 18 | 6 | 4 | 8 | 22—21 | 16 |
| „ყაირათი" | 20 | 2 | 11 | 7 | 11—20 | 15 |
| „ლოკომოტ." | 20 | 3 | 6 | 11 | 19—30 | 12 |
| „ნეფთჩი" | 19 | 4 | 4 | 11 | 16—32 | 12 |

## II ლიგა III ზონა

11 აგვისტოს გამართული შეხვედრები ასე დამთავრდა: „ტრუდი" (ვორონეჟი) — „შრომითი რეზერვები" (კურსკი) 5:1, „სალუტი" (ბელგოროდი) — „მეტალურგი" (ლიპეცკი) 1:1, „დინამო" (ბრიანსკი) — „გურია" (ლანჩხუთი) 2:0, „ზვეზდა" (ტირასპოლი) — „კოლხეთი" (ფოთი) 1:0, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „დინამო" (სოხუმი) 1:0, „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) — „დრუჟბა" (მაიკოპი) 3:1, „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 2:1, „სპარტაკი" (ორიოლი) — „მერცხალი" (მახარაძე) 1:2, „მაშინოსტროიტელი" (პოდოლსკი) — „დილა" (გორი) 3:1.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 15 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ყუბანი" (კრასნოდარი) | 21 | 13 | 5 | 3 | 34—10 | 31 |
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 21 | 10 | 9 | 2 | 35—17 | 29 |
| „დინამო" (ბათუმი) | 21 | 10 | 7 | 4 | 37—24 | 27 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 22 | 10 | 6 | 6 | 34—22 | 26 |
| „მაშინოსტროიტელი" (პოდოლ.) | 22 | 11 | 4 | 7 | 26—20 | 26 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 21 | 12 | 2 | 7 | 28—25 | 26 |
| „ზვეზდა" (ტირასპოლი) | 21 | 10 | 4 | 7 | 22—16 | 24 |
| „დილა" (გორი) | 22 | 8 | 8 | 6 | 24—19 | 24 |
| „დრუჟბა" (მაიკოპი) | 21 | 8 | 7 | 6 | 27—20 | 23 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 21 | 9 | 4 | 8 | 28—27 | 22 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 22 | 8 | 5 | 9 | 25—28 | 21 |
| „სალუტი" (ბელგოროდი) | 22 | 6 | 9 | 7 | 18—25 | 21 |
| „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) | 22 | 6 | 8 | 8 | 21—26 | 20 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 22 | 7 | 4 | 11 | 24—34 | 18 |
| „დინამო" (სოხუმი) | 21 | 5 | 7 | 9 | 22—31 | 17 |
| „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) | 20 | 5 | 5 | 10 | 18—25 | 15 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 22 | 4 | 7 | 11 | 19—32 | 15 |
| „სპარტაკი" (ორიოლი) | 22 | 2 | 8 | 12 | 17—30 | 12 |
| „შრომითი რეზერვები" (კურსკი) | 22 | 4 | 3 | 15 | 18—46 | 11 |

# ჩვენი გუნდი — ოქროს მედლები

1-12 აგვისტოს კისლოვოდსკში მიმდინარეობდა „შრომითი რეზერვების" XIII საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ფინალური ტურნირი ფეხბურთში.

საქართველოს „შრომითი რეზერვების" ნაკრებმა (მწვრთნელები გ. აკობაშვილი და გ. ავაქოვი) წარმატებით განვლო გათამაშება, დაუმარცხებლად დაამთავრა იგი და ოქროს მედლებიც მოიპოვა.

ჩვენმა ფეხბურთელებმა დაამარცხეს ლატვიის (6:0), ტაჯიკეთის (2:0) და რსფსრ-ს (1:0) კოლექტივები და ფრედ, ერთნაირი ანგარიშით (1:1) ითამაშეს უკრაინელებთან და ბელორუსიელებთან.

ტურნირის საუკეთესო მეკარედ დაასახელეს ფოთის № 9 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე მ. ცომაია, ხოლო საუკეთესო ბომბარდირად მოგვევლინა თბილისის № 51 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე მ. მელიქიშვილი, რომელმაც 6 ბურთი გაიტანა.

ო. ოსაძე.

# ფინალები ორ ქალაქში

კრასნოდარი, 13 აგვისტო. ქალაქის საუკეთესო სტადიონებზე დაიწყო უფროსი ასაკის ბავშვთა ფინალური საკავშირო მატჩები „ტყავის ბურთის" პრიზზე. გათამაშებაში 24 გუნდი მონაწილეობს.

შეჯიბრების პირველ დღეს „ლენინეცმა" (გორკის ოლქი) ანგარიშით 5:0 დაამარცხა კოსტრომის „ბურევესტნიკი", ხოლო უკრაინისა და ტაჯიკეთის წარმომადგენელთა შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 0:0.

ტურნირი 23 აგვისტომდე გასტანს.

• • •

ლვოვი, 13 აგვისტო. მრავალრიცხოვანი მაყურებელი დაესწრო უმცროსი ასაკის ნორჩ ფეხბურთელთა საკავშირო ფინალური შეჯიბრების სადღესასწაულო გახსნას „ტყავის ბურთის" პრიზზე.

ფეხბურთელთა საზეიმო აღლუმის შემდეგ ერთმანეთს შეხვდნენ „კარპატი" (სტრი) და „კრისტალი" (მოსკოვი). გაიმარჯვეს კარპატელებმა — 4:0.

შეჯიბრება 24 აგვისტოს დამთავრდება.

# პირველი გამარჯვება

ნოვოროსიისკი, 13 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ სტარტი მიეცა ნორჩ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების ფინალურ ასპარეზობას „სიჭაბუკის თასზე".

წარმატებით დაიწყო ტურნირი საქართველოს ნაკრებმა (მწვრთნელები ა. ვარდიაშვილი და თ. კუბლაშვილი), რომლის პირველი მეტოქე აზერბაიჯანის გუნდი იყო. ჩვენმა ფეხბურთელებმა დიდი უპირატესობით ჩაატარეს მატჩი და გაიმარჯვეს —4:1. ბურთები გაიტანეს ვლაშჩენკომ (2), ნარიმანიძემ და ჭითანავამ.

პირველ ტურში უკრაინელებმა დაამარცხეს ბელორუსიის ნაკრები, ხოლო მოსკოველებმა — რსფსრ-ს გუნდი. ორივე შემთხვევაში ანგარიში იყო 1:0.

ნ. ამირეჯიბი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### სწორედ ის უილსონი

ინგლისის ნაკრების მარცხენა მცველმა უილსონმა თავის დროზე დიდი პოპულარობა მოიპოვა და 1966 წელს მსოფლიო ჩემპიონატში ოქროს მედალი დაიმსახურა. მაგრამ ფეხის მძიმე ტრავმის გამო იგი მალე გამოეთხოვა ნაკრებსაც და, საერთოდ, პროფესიულ ფეხბურთსაც.

ახლა უილსონი სასურსათო მაღაზიის პატრონია, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო მამისგან, მაგრამ იგი მაინც განაგრძობს თამაშს. ყოფილი პროფესიონალი წარმატებით გამოდის მოყვარულთა გუნდში.



ლაგოდეხის რაიონული გაზეთის „გამარჯვების დროშის" რედაქციამ წლეულს მეექვსედ მოაწყო ფარნაოზ ჩიკვილაძის ხსოვნის თასის გათამაშება ქართულ ჭიდაობაში. ამ თასის ორგზის მფლობელი უკვე იყო ენგელსის სახელობის ლელიანის კოლმეურნეობის მოჭიდავეთა გუნდი. მან წლეულსაც კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება გამოავლინა, რითაც მესამედ მოიპოვა საპატიო ჯილდო.

წონით კატეგორიებში ლელიანელთაგან გაიმარჯვეს გ. ბუზალაძემ, თ ნერმანიშვილმა, ი. ჩაფიჩაძემ, ა. ბოჭორიშვილმა და ა. ჯაჯანიძემ. II ადგილები დაიკავეს მ. ხასიევმა, გ. ხუციშვილმა და ს. ღვალაძემ.

ლელიანელმა მოჭიდავეებმა არც ახლახან დამთავრებულ რაიონულ პირველობაში დათმეს გამარჯვება. ოთხმა მათგანმა ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა. კოლმეურნე მოჭიდავეთა წარმატებებში დიდი ღვაწლი მიუძღვის მწვრთნელს გ. ღვალაძეს.

• • •

სურათზე: ფ. ჩიკვილაძის თასის სამგზის მფლობელი ლელიანის მოჭიდავეთა გუნდი.

ი. გაბრიჩიძის ტექსტი და ფოტო.

## სამეურნეო სპორტსმენები

### ✦ გორი

ქალაქის საჭიდაო დარბაზში გაიმართა „კოლმეურნის" რაისაბჭოს პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. გუნდურ ჩათვლაში წარმატებას მიაღწია კარალეთის საბჭოთა მეურნეობის ნაკრებმა გუნდმა (მწვრთნელი-მეთოდისტი ს. ჩუხრუკიძე). წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: რ. კაპანაძე (ტყვიავი), რ. ხანიშვილი (ზეღდულეთი), კ. ბიბილაშვილი (მეჯვრისხევი), ე. ცერცვაძე (ზეღდულეთი), ა. გინტური (მეჯვრისხევი), მ. გოგიაშვილი, გ. ზაალიშვილი, ა. მეზვრიშვილი (ქვემო — კარალეთი).

გ. გოზალიშვილი.

• • •

რაიონის მოსწავლე კალათბურთელთა პირველობა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა. ფინალში გამარჯვებას მიაღწიეს ხელთუბნელმა მოსწავლეებმა (მწვრთნელი გ. სირბილაძე). II ადგილზე გავიდნენ ატენის სკოლა-ინტერნატის წარმომადგენლები, III — ქიწნისელი სპორტსმენები.

გ. მთვარელიძე.

### ✦ ქარელი

გაიმართა რაიონული შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. კარგად მომზადებული გუნდები გამოიყვანეს ზემო ხვედურეთის კოლმეურნეობამ და რუისის საბჭოთა მეურნეობამ. აგრეთვე, ავლევმა და ქვემო ხვედურეთმა. გუნდური გამარჯვება ზემოხვედურეთელებს ხვდათ.

ბ. კუტალაიშვილი.

სამეურნეო სპორტსმენები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## [illegible]-72

● ფიუსენი (გფრ), 12 აგვისტო. მოსკოვის „სპარტაკის" ჰოკეისტთა გუნდმა ყველას აჯობა აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში „ტურნ ი ტაკსისის" თასზე და, ვინაიდან ეს მისი ზედიზედ მესამე გამარჯვებაა ამგვარ შეჯიბრებაში, საპატიო პრიზი მას სამუდამოდ გადაეცა. გადამწყვეტ მატჩში მოსკოველებმა ანგარიშით 2:1 დაამარცხეს ბრნოს ზკლ (ჩეხოსლოვაკია). ტურნირში აგრეთვე მონაწილეობდნენ იტალიის, პოლონეთისა და დასავლეთ გერმანიის გუნდები.

● სოფია, 12 აგვისტო. ესტონეთის კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა აქ გამართულ ამხანაგურ მატჩში ბულგარეთის ეროვნულ გუნდს სძლია — 66:57 (40:24).

● ვიარეჯო (იტალია), 12 აგვისტო. აქ დიდი ინტერესი გამოიწვია მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებამ. იტალიელმა პ. მენეამ 100 მ 10,2 წამში გაირბინა, ხოლო 200-მეტრიან დისტანციაზე პირველი იყო ამერიკელი ლ. ბლეკი — 20,5. 400 მეტრზე რბენაც ამერიკელის გამარჯვებით დამთავრდა: ფინიშთან ყველაზე სწრაფად მიიჭრა ფ. ნიუჰაუზი — 45,8. უროს ტყორცნაში იტალიის რეკორდი დაამყარა მ. ვეკატომ — 72,74 მ. ასევე განაახლა ეროვნული რეკორდი იტალიელმა პაოლა პინიიმ, რომელმაც 800 მეტრზე რბენაში 2.03,5 აჩვენა. ამერიკელებმა გაიმარჯვეს: 4×100 მეტრზე ესტაფეტაში — 38,8, 110 მეტრზე თარჯრბენში (რ. მილბერნი — 13,5), 400 მეტრზე რბენაში (ჯ. სეიმური — 49,5), სიმაღლეზე ხტომაში (ბ. შური — 218 სმ).

● ბერლინი, 13 აგვისტო. ადგილობრივი „ყინულის დარბაზის" სარბიელზე გამართული საერთაშორისო ხაზაფხულო ტურნირის მეორე დღეს მოსკოვის „დინამოს" ჰოკეისტებმა ანგარიშით 13:2 სძლიეს ბერლინელ თანაკლუბელებს, გდრ-ის ჩემპიონმა — ვაისვასერის „დინამომ" კი ჩესკე-ბუდეიოვიცეს „მოტორს" (ჩეხოსლოვაკია) აჯობა — 6:1. შეჯიბრების ბოლო დღეს მოსკოველებმა ანგარიშით 5:0 დაამარცხეს „მოტორი", 6 ქულა დააგროვეს 6-დან და I ადგილი დაიკავეს. II ადგილზე გავიდნენ ბერლინის დინამოელები — 3 ქულა. შემდეგ მოდიან ვაისვასერის „დინამო" და ჩესკე-ბუდეიოვიცეს „მოტორი". ტურნირის საუკეთესო მოთამაშეებად აღიარეს: მეკარე ვ. პლანიჩკა (ჩეხოსლოვაკია), მცველი ჰ. ნოვი (გდრ) და თავდამსხმელი ა. მალცევი (სსრ კავშირი).

● ნოვოსიბირსკი, 13 აგვისტო. აქ დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი წიდოვან ბილიკზე მოტორბოლაში. სტარტზე გამოვიდა ლენინგრადის, როვნოს, დაუგავპილსის, ბალაკოვოს, კადიევკის, სარატოვის, ვლადივოსტოკისა და ნოვოსიბირსკის 16 უძლიერესი სპიდვეისტი. ოქროს მედალი მოიხვეჭა ნოვოსიბირსკელმა ზეინკალმა, 22 წლის ვ. პაზნიკოვმა, რომელმაც 23 ქულა დააგროვა 30-დან. მან თავისებური „დუბლი" გააკეთა — წარსულ ზამთარს ასეთივე ჯილდო მოიპოვა ყინულზე სპიდვეიში. ვერცხლი ვლადივოსტოკელ ვ. ზაპლეჩნის ხვდა — 22 ქულა. მას ქულით ჩამორჩა III ადგილზე გასული ა. კუზმინი (დაუგავპილსი).

● ბერლინი, 13 აგვისტო. მაგდებურგელმა კინოლაბორატორიის მუშაკმა, 22 წლის ანელიზა ერჰარდტმა ერთი საათის განმავლობაში ორჯერ გაიმეორა 100 მეტრზე თარჯრბენში ავსტრალიელი პ. რაიან-კილბორნის მსოფლიო რეკორდი — 12,5 წამი. ამ დიდებულ შედეგს მან გდრ-ის მძლეოსანთა წინაოლიმპიურ შეჯიბრებაში მიაღწია. მსოფლიოს ექს-რეკორდსმენი კარინ ბალცერი მეორე იყო — 12,8.

● ტალინი, 13 აგვისტო. მწვავე ბრძოლით აღინიშნა აქ დამთავრებული 25-ე საკავშირო ჩემპიონატი მოტოსპორტში. საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავა ლატვიის ნაკრებმა, ხოლო ცალკეულ კლასებში ჩემპიონები გახდნენ: 50 კბ სმ—რ. კრემსი (ლატვია), 175 კბ სმ — მ. საარი (ესტონეთი), 650 კბ სმ ნავიანი მანქანებით—ე. აუზინში და ფ. ხაფერბერგსი (ლატვია), 350 კბ სმ ნავიანი მანქანებით — ვ. ჰელმი და კ. ნეუჰაუსი (ესტონეთი), 350 კბ სმ — უ. ლალო (ლატვია), სპორტული მოტოციკლებით: 125 კბ სმ — ვ. ლეპიკი (ესტონეთი), 175 კბ სმ — ი. ნესტეროვი (ლენინგრადი), 250 კბ სმ — ჯ. ოშინში (ლატვია). ქალთა შორის, რომლებიც „125-ანებით" ასპარეზობდნენ, გაიმარჯვა ჯ. კიოპემ (ლატვია).

## ოლიმპიური რეკორდები [ძალოსნობა]

| წონა | შედეგი | სპორტსმენი | დამყარების ადგილი | წელი |
|---|---|---|---|---|
| | | **აჭიმვა** | | |
| მჩატე | 122,5 კგ | ი. ფიოლდი (უნგრეთი) | მეხიკო | 1968 |
| ქვემსუბუქი | 122,5 | იოსინობუ მიიაკე (იაპონია) | ტოკიო | 1964 |
| | | იოსინობუ მიიაკე (იაპონია) | მეხიკო | 1968 |
| | | იოსიუკი მიიაკე (იაპონია) | მეხიკო | 1968 |
| მსუბუქი | 140 | ვ. კაპლუნოვი (სსრკ) | ტოკიო | 1964 |
| | | მ. ზელინსკი (პოლონეთი) | ტოკიო | 1964 |
| ქვესაშუალო | 152,5 | ვ. კურენცოვი (სსრკ) | მეხიკო | 1968 |
| საშუალო | 155 | დ. ვერეში (უნგრეთი) | ტოკიო | 1964 |
| ქვემძიმე | 172,5 | კაარლო კანგასნიემი (ფინეთი) | მეხიკო | 1968 |
| მძიმე | 200 | ლ. ჟაბოტინსკი (სსრკ) | მეხიკო | 1968 |
| | | **ატაცი** | | |
| მჩატე | 110 | ს. ისინოსეკი (იაპონია) | ტოკიო | 1964 |
| ქვემსუბუქი | 122,5 | იოსინობუ მიიაკე (იაპონია) | ტოკიო | 1964 |
| მსუბუქი | 135 | ვ. ბაშანოვსკი (პოლონეთი) | ტოკიო | 1964 |
| | | ვ. ბაშანოვსკი (პოლონეთი) | მეხიკო | 1968 |
| ქვესაშუალო | 140 | მ. ოუჩი (იაპონია) | მეხიკო | 1968 |
| საშუალო | 147,5 | ჰ. ზდრაჟილა (ჩეხოსლოვაკია) | მეხიკო | 1968 |
| | | ვ. ბელიაევი (სსრკ) | მეხიკო | 1968 |
| | | ბ. სელიცკი (სსრკ) | მეხიკო | 1968 |
| ქვემძიმე | 157,5 | კაარლო კანგასნიემი (ფინეთი) | მეხიკო | 1968 |
| მძიმე | 170 | ლ. ჟაბოტინსკი (სსრკ) | მეხიკო | 1968 |
| | | **აკვრა** | | |
| მჩატე | 150 | მ. ნასირი (ირანი) | მეხიკო | 1968 |
| ქვემსუბუქი | 152,5 | ი. ბერგერი (აშშ) | ტოკიო | 1964 |
| | | იოსინობუ მიიაკე (იაპონია) | მეხიკო | 1968 |
| მსუბუქი | 167,5 | ვ. ბაშანოვსკი (პოლონეთი) | მეხიკო | 1968 |
| ქვესაშუალო | 187,5 | ვ. კურენცოვი (სსრკ) | მეხიკო | 1968 |
| საშუალო | 187,5 | ბ. სელიცკი (სსრკ) | მეხიკო | 1968 |
| ქვემძიმე | 197,5 | ი. ტალტსი (სსრკ) | მეხიკო | 1968 |
| მძიმე | 217,5 | ლ. ჟაბოტინსკი (სსრკ) | ტოკიო | 1964 |
| | | **სამჭიდი** | | |
| მჩატე | 367,5 | მ. ნასირი (ირანი) | მეხიკო | 1968 |
| | | ი. ფიოლდი (უნგრეთი) | მეხიკო | 1968 |
| ქვემსუბუქი | 397,5 | იოსინობუ მიიაკე (იაპონია) | ტოკიო | 1964 |
| მსუბუქი | 437,5 | ვ. ბაშანოვსკი (პოლონეთი) | მეხიკო | 1968 |
| ქვესაშუალო | 475 | ვ. კურენცოვი (სსრკ) | მეხიკო | 1968 |
| საშუალო | 485 | ბ. სელიცკი (სსრკ) | მეხიკო | 1968 |
| | | ვ. ბელიაევი (სსრკ) | მეხიკო | 1968 |
| ქვემძიმე | 517,5 | კაარლო კანგასნიემი (ფინეთი) | მეხიკო | 1968 |
| მძიმე | 572,5 | ლ. ჟაბოტინსკი (სსრკ) | ტოკიო | 1964 |
| | | ლ. ჟაბოტინსკი (სსრკ) | მეხიკო | 1968 |

შენიშვნა: მიუნხენის XX ოლიმპიურ თამაშებში პირველად აღირიცხება ოლიმპიური რეკორდები კიდევ ორ წონით კატეგორიაში — უმძიმესში და ზემძიმეში.



სალამო ტბაზე.

ა. გურასაშვილის ფოტო.

## ისევ ბისტროვა, ისევ ოქრო

ბრანდენბურგი, 13 აგვისტო. ბეეტცზეეს ტრასაზე აკადემიურ ნიჩბოსნობაში ევროპის ქალთა ჩემპიონატში დღეს გათამაშებული ხუთი ოქროს მედლიდან პირველი საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს. ეს უკვე მერამდენე წელია ოთხადგილიანი მესაჭიანი ნავებით შეჯიბრებაში პირველობს საბჭოთა ეკიპაჟი, რომლის პირველი მენიჩბეც ნ. ბისტროვაა (ნოვგოროდის „სპარტაკი"). საბჭოთა სპორტსმენებმა კილომეტრიან ტრასაზე 3.41,32 აჩვენეს და ვერცხლის პრიზიორს — გდრ-ის გუნდს ნავის კორპუსზე ცოტა მეტით მოუგეს. III ადგილზე არიან ჰოლანდიელები.

ერთადგილიანებით რბოლაში ყველას აჯობა ი. დიუსელდორპმა (ჰოლანდია) — 3.59,02. მეორე იყო ფრანგი ა. ანტუანი, მესამე — კონტინენტის შარშანდელი ჩემპიონი ა. კულკე (გდრ). საბჭოთა სპორტსმენი ე. ანტონოვა V ადგილზეა.

სსრ კავშირის წარმომადგენლებმა ვერცხლის მედლების კომპლექტი მიიღეს ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანებით, როცა წამზე ნაკლები წააგეს გამარჯვებულთან — რუმინეთის გუნდთან. გამარჯვებულის დროა 3.31,82, საბჭოთა გუნდისა — 3.32,68. III ადგილზე არიან გფრ-ის სპორტსმენები — 3.36,70.

კონტინენტის ჩემპიონთა წოდება შეინარჩუნეს ლენინგრადელებმა გ. სუსლინამ და ე. კონდრაშინამ ორადგილიანი წყვილმოსასმელიანით—3.47,42. II ადგილზე არიან ჰოლანდიელები (3.44,08), III—ფრანგები (3.44 18).

ოქროს ბოლო, მეხუთე კომპლექტი საბჭოთა რვაადგილიანის ეკიპაჟს გადაეცა — 3.18,53. ვერცხლი რუმინეთის გუნდს დარჩა (3.20,67), ბრინჯაო კი გდრ-ის ეკიპაჟს (3.21,17).

გუნდურ ჩათვლაში (შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ არა მარტო ევროპის, არამედ სხვა კონტინენტების 20 ქვეყნის წარმომადგენლები) გაიმარჯვა საბჭოთა ნაკრებმა — 36,5 ქულა. საბჭოთა სპორტსმენებს გადაეცათ მთავარი პრიზი — „ქარის წისქვილი".

(საკდესი).

## ბოლო დღის მიღწევა

ვაილე (დანია), 14 აგვისტო. მაგიდის ჩოგბურთში ევროპის იუნიორთა ჩემპიონატის ბოლო დღეს საბჭოთა სპორტსმენებმა გუნდურ შეჯიბრებაში მოპოვებულ ორ ოქროს მედალს პირადი ტურნირის კიდევ ოთხი უმაღლესი ჯილდო დაუმატეს. მართალია, ლუგოველმა ა. სტროკატოვმა კონტინენტის აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული ვერ შეინარჩუნა, მაგრამ ორჯერ ავიდა საპატიო კვარცხლბეკზე, ჯერ ერევნელ ელმირა ანტონიანთან, მერე კი მოსკოველ მ. ფურსოვთან ერთად. მას შემდეგ, რაც საბჭოთა სპორტსმენებმა შერეულ და ვაჟთა წყვილების შეჯიბრებებში გაიმარჯვეს. სხვათა შორის, ვაჟებს ნამდვილი საბჭოური ფინალი ჰქონდათ, რადგან გადამწყვეტ შეხვედრაში მომავალ ჩემპიონებს ახალგაზრდა სომეხი სპორტსმენები ფ. სარქისიანი და ბ. ბურნაზიანი ხვდებოდნენ. ბრძოლა დაძაბული იყო — 21:18, 21:16.

15 წლის ერევნელმა მოსწავლემ ბ. ბურნაზიანმა მაინც მოიგო ოქროს მედალი, როცა უმცროსი ასაკის ჭაბუკთა შეჯიბრების ფინალში გაიმარჯვა. ამით მან თავისი შარშანდელი მიღწევა გაიმეორა. უმცროსი ასაკის გოგონებში გამოირჩეოდა სვერდლოვსკელი ტ. ფერდმანი, რომელმაც აჯობა იუგოსლაველ დ. ფაბრის — 18:21, 21:12, 21:13.

უფროსი ასაკის ჭაბუკებში უძლიერესი აღმოჩნდა იუგოსლაველი მ. სეგნიკი. მან გადამწყვეტი შეხვედრა მოუგო სტროკატოვს — 21:19, 21:15. გოგონებში ჩემპიონი გახდა ლ. ილიე (რუმინეთი), რომელთანაც ნახევარფინალში წააგო ანტონიანმა — 9:21, 13:21.

(საკდესი).

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### თამაში კი არა, ომია!..

რომელ ქვეყანაშია ფეხბურთი ყველაზე უხეში? ამ მხრივ ახლა პირველ ადგილზე პარაგვაი მიაჩნიათ.

აი, რას წერს ცნობილ ბრაზილიურ კლუბ „ატლეტიკოს" (ბელუ-ორიზონტე) წარმომადგენელი სანტანა, რომლის გუნდსაც ამას წინათ პარაგვაიში მოუხდა გამოსვლა:

— ფეხბურთი პარაგვაიში სპორტი კი არა, ომია. აქ საოცრად თავაშვებული გულშემატკივრები არიან. ხანდახან არაფრის გამო ესვრიან ქვებს მოთამაშეებსა და პოლიციას, რომელიც იძულებულია იარაღი გამოიყენოს. მოდი და ითამაშე ასეთ ქვეყანაში!

### პროფესიონალიზმს შემოიღებენ...

ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ბელგიის ფეხბურთის ფედერაციამ. აქამდე ამ ქვეყნის გუნდები ნახევრად პროფესიონალები იყვნენ და დოტაციას იღებდნენ ქალაქის მუნიციპალიტეტიდან. ახლა პროფესიონალური შეიძლება გახდეს ყველა კლუბს, რომელსაც 15-ათასიანი სტადიონი აქვს და აქედან ადგილების ერი მესამედი დასაჯდომია.

### საუბრობენ ძველი პარტნიორები

ერთმანეთს ხვდებოდნენ ბრაზილიის „სანტოსი" და იტალიის „ნაპოლი". ზედ შინდორზე, თამაშის დროს, ასეთი საუბარი გაიმართა პელესა და მის ძველ პარტნიორს ალტაფინის შორის: „გადმოდი ჩვენთან, „სანტოსში". ერთ-ორ სეზონს თამამად ითამაშებ. კარგ ფორმაში ხარ".

ალტაფინიმ გაიღიმა, თამაშის შემდეგ კი თქვა: „34 წლისა გავხდი. იტალიაში ამ ასაკის ფეხბურთელები თამაშს ამთავრებენ, ბრაზილიაში კი 37-38 წლამდე აგრძელებენ გამოსვლას. კარგი წინადადება მივიღე".

ეს ასეა, მაგრამ ალტაფინიმ.. მაინც იტალიაში დარჩენა ამჯობინა.

### „ფეიენოორდი" არ ისვენებს

როტერდამის „ფეიენოორდს" მოსვენებას არ აძლევს მეორე ცნობილი ჰოლანდიური კლუბის — ამსტერდამის „აიაქსის" წარმატებები. გუნდის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ტყუილად არ განაახლა ხელშეკრულება გამოჩენილ თავდამსხმელ კინდვალთან, რომელიც თავის სამშობლოში — შვეციაში დაბრუნდა.

ახლა „ფეიენოორდი" ისეთ მოთამაშეთა გადაბირებას ცდილობს, რომლებიც მას უპირატესობას მოუპოვებენ. ემისრები აფრინეს კეიტასთან (მარსელის „ოლიმპიკი") და წინასწარი თანხმობაც მიიღეს. მეორე თავდამსხმელი, რომელიც „ფეიენოორდს" გადასვლას პირდება, ძალზე შედეგიანი ფორვარდი კელერი გახლავთ „ჰანოვერიდან" (გფრ).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.




გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 8, ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 380008), დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99 56 14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93 97-52, მასობრივ ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93 97 55, სპორტული განყოფილება — 99 56 47, 93-97-58, ფეხბურთის განყოფილება — 99 81-71, 93 97-56, კადრების განყოფილება — 93 97-57, წერილების განყოფილება — 93 97 54, მემანქანეთა ბიურო — 93 97 59, ფოტოლაბორატორია — 93 97-58, გამომშვები — 93 98 81, კორექტორები — 93 97 49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უშ 10193